მშობლის მიმართვა სამინისტროს მულტიდისციპლინარულ გუნდთან

ბავშვის/მოსწავლის მშობელი კანონიერი წარმომადგენელი ქვემოთ ჩამოთვლილი სირთულეების არსებობის შემთხვევაში უთითებს პირის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების მოთხოვნის მიზნით წერილობით ავსებს მიმართვის ფორმას (განაცხადს), რომელსაც თან დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში ეს შესაძლოა იყოს: შვილის დაბადების მოწმობის ასლი, ფორმა IV–100/ა, სხვა

ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც მოსწავლე ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

შევსებულ მიმართვის ფორმას მშობელი წარადგენს სამინისტროში, შევსების დროს, მნიშვნელოვანია შევსებული იყოს ანკეტაში მოცემული ყველა დებულება, განსაკუთრებით, ის დებულებები, რომლებიც ეხება ბავშვის/მოსწავლის დემოგრაფიულ მონაცემებს, გუნდთან მიმართვის მიზანს, ასევე შევსებული უნდა იყოს მომართვაზე თანდართული კითხვარი პირველადი საჭიროებები შეფასების შესახებ, რომლებიც მოსწავლის/პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებს აღწერს. მშობლის მიერ სრულყოფილად შევსებული მიმართვის ფორმა, შემდგომი შეფასების პროცესს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ უფრო მოქნილს და ეფექტურს გახდის.